



10 დეკაბრის ანბარიში საქართველოში აღიარების უფლებათა და თავისუფლებათა დასვის მდგომარეობის შესახებ

2014 წელი

წინასიტყვაობა

10 დეკაბერს სივლილივებული საფარო აღიარის უფლებათა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. გაეროს აღიარის უფლებათა უმაღლესი კოორდინირებული ბადაწყვტილებით, წელს 10 დეკაბრის მთავარი გზავნილია „აღიარის უფლებები 365“. გზავნილის ილა, რომ თითოეული დღე აღიარის უფლებათა დღეა, ისეთივე მარტივია, როგორც 66 წლის წინ, აღიარის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებით გამოხატული ნება – აღიარის უფლებები გვაკუთვნის ყველას, ყველგან და ყოველთვის, მიუხედავად რასის, კანის ფერის, სქანის, ენის, რელიგიის, პოლიტიკის თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოგავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.

წინამდებარე ანბარიში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გასულ წელს დაწყებული ინიციატივის გაგრძელებას წარმოადგენს – ყოველი წლის 10 დეკაბერს შეაჯამოს აღიარის უფლებებისა და თავისუფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა საქართველოში. სახალხო დამცველის ყოველწლიური, საპარლამენტო ანბარიშისგან განსხვავებით, ბუნებრივია, ამ დოკუმენტს არ აქვს ყოველწლიური პრაქტიკა. მისი ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოებას გააცნოს წლის განმავლობაში აღიარის უფლებათა სფეროში არსებული ძირითადი მიდევნები და პრობლემები, რომელთა დაქვევის გაკვეთილი იქნება აღიარის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაციის საქართველოში.

1. შესავალი

2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე. გასული წლის მსგავსად, პარლამენტმა გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაციების დიდი ნაწილი და სახელმწიფო უწყებებს კონკრეტული ღონისძიებების გატარება დაავალა. დადგენილების მიხედვით, სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულებას მონიტორინგს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი გაუწევს. სახელმწიფო უწყებებს დაევალებათ დადგენილებაში მითითებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში კომიტეტს 2015 წლის 1 მარტამდე წარუდგინონ. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღებული ვალდებულების ეფექტიანად განსახორციელებლად აუცილებელია, სახალხო დამცველის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობით, მონიტორინგის დეტალური გეგმის შემუშავება. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის განხორციელებისას კომიტეტი მხოლოდ რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ერთჯერადად წარდგენის მოთხოვნით შემოიფარგლა, პარლამენტის დადგენილებით განწერილი ვალდებულება შესაძლოა ფორმალურად იქცეს.

რელიგიური და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლების მიმართ არსებული შეუწყნარებლობის ფონზე, სახალხო დამცველი მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად თვლის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებას. მით უმეტეს, რომ კანონპროექტის მიღება საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობრივი მოსაზრებების ფონზე მიმდინარეობდა. კანონის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე

ზედამხედველობის განხორციელების ორგანოდ საქართველოს სახალხო დამცველი განისაზღვრა, თუმცა აპარატმა კანონით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსური რესურსი რამდენიმე თვის დაგვიანებით მიიღო. სახალხო დამცველის აზრით, კანონის ეფექტური იმპლემენტაციისთვის აუცილებელია მასში გარკვეული სახის ცვლილებების შეტანა.

საქართველოს სახალხო დამცველი 2014 წლის განმავლობაში მიღწეულ პროგრესად აფასებს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა (2014-2020 წლებისთვის) და შესაბამისი სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცებას, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტების შემუშავების პროცესი უფრო მეტი ჩართულობისა და გახსნილობის სურვილს ტოვებდა.

საანგარიშო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია შეკრებების დარბევას ან არაპროპორციული ძალის გამოყენებას დემონსტრანტების წინააღმდეგ. გაუმჯობესდა და შედარებით მრავალფეროვანი გახდა მედია გარემო.

მიმდინარე წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად რჩება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რომლის თანმიმდევრული იმპლემენტაცია უკვე აისახა პროპორციულ და გონივრულ სასჯელებზე, ალკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების პროცენტული მაჩვენებლის შემცირებაზე და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის კუთხით განხორციელებული ინსტიტუციონალური რეფორმის წარმატება, სისტემაში არსებული ცალკეული პრობლემების მოგვარება აუცილებელია სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის გასაზრდელად. მიმდინარე წელს სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაეწყო დისციპლინური დევნა იმ მოსამართლეთა მიმართ, რომელთა მხრიდანაც იკვეთებოდა საქმეების განხილვის დროს პროცედურული ნორმების უხეში დარღვევები. სამწუხაროდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყველა წინადადების განხილვისას შემოიფარგლებოდა შაბლონური პასუხით, რომ მოსამართლეების მხრიდან არ დასტურდებოდა შესაბამისი გადაცდომები. გარდა ამისა, მიმდინარე წლის განმავლობაში პრობლემას წარმოადგენდა უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვის კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პროგრესისა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით მთელი რიგი გამოწვევები რჩება. იმ უარყოფით ტენდენციებს შორის, რომლებიც მიმდინარე წელს გამოიკვეთა, საქართველოს სახალხო დამცველს საგანგაშოდ მიაჩნია ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბები და სიმძაფრე, რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობრივი ინციდენტების მიმართ ხელისუფლების არაადეკვატური რეაგირება და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები სასჯელალსრულების დაწესებულებებში და დაკავებების დროს.

იხვევ, როგორც გასულ წელს, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამუშაო ადგილზე დაშავებისა და გარდაცვალების არაერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, თუმცა, შრომის უსაფრთხოების მონესრიგების კუთხით ეფექტიანი ღონისძიებები ამ დრომდე არ გატარებულა. მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთგზის მონოდებისა, მთავრობას დღემდე არ გადაუდგამს კონკრეტული ნაბიჯები შრომის უფლებების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანოს - შრომის ინსპექციის ან მსგავსი ფუნქციებით აღჭურვილი სახელმწიფო დაწესებულების შესაქმნელად.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე წლებია მიმდინარეობს საუბარი საჯარო სამსახურის რეფორმის აუცილებლობაზე, ამ მიმართულებით სრულყოფილი რეფორმა არ გატარებულა. როგორც წესი, უგულებელყოფილია საჯარო სამსახურის შესახებ კანონის ძირითადი პრინციპები, რაც საჯარო სამსახურის უპარტიოებას და მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობას ითვალისწინებს. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, თვითმმართველობის ორგანოებიდან რამდენიმე ასეულობით საჯარო მოხელე გათავისუფლდა. საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ქვეყანაში არსებული უმუშევრობის ფონის გათვალისწინებით, მოხელეთა მხრიდან გათავისუფლების შესახებ გამომხატული ნების ნამდვილობა ეჭვებს აჩენს.

მიმდინარე წლის განმავლობაში სახალხო დამცველის შეხვედრებმა მალაღმთიან რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან მეტ-ნაკლებად ერთნაირი სიმწვავის პრობლემები გამოავლინა. სამუშაო ადგილების არარსებობა, მწირი შემოსავალი, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვის სისტემების გაუმართაობა, ზემოხსენებული რეგიონების სიცოცხლისუნარიანობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ მთავრობა გაითვალისწინებს არსებულ მძიმე ვითარებას და დროულად დაიწყებს მუშაობას სპეციალური, ეგრეთ ნოდებული მთის კანონის შესამუშავებლად.

ლეგიტიმური კითხვები რჩება პროკურატურის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განმხორციელებელი ორგანოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ეჭვებს კიდევ უფრო ამყარებს სტრუქტურის ჩაკეტილობა, რაც ე.წ. „კაბელების საქმედაც“ თვალსაჩინო გახდა. სახალხო დამცველის შეფასებით, პროკურატურის მხრიდან აუცილებლობას არ წარმოადგენდა მთლიან საქმეზე საიდუმლო გრიფის მინიჭება, რამაც გამოძიების სანყის ეტაპზე ხელი შეუშალა დაცვის მხარის შეუფერხებელ წვდომას საქმის მასალებისადმი. სახალხო დამცველი აგრძელებს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე მონიტორინგს.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის ასევე უცნობია 2013-2014 წლებში არაერთი გახმაურებული საქმის გამოძიების შედეგები, მათ შორის, თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისთვის თავისუფლების სავარაუდოდ უკანონო აღკვეთის, ივანე მერაბიშვილის მიმართ სავარაუდოდ უკანონო ქმედებებისა და დეპუტატ ნუგზარ ნიკლაურის ცემის ფაქტებზე. კანონის მოთხოვნათა სავარაუდოდ დარღვევის შესახებ ლეგიტიმური კითხვები რჩება ასევე, ე.წ. „ტრაქტორების საქმეზე“, რაც გამოძიების სრულყოფილად ჩატარებას საჭიროებს.

მიმდინარე წელს პროგრესი არ ყოფილა სოფელ ლაფანყურთან, მდინარე ლოპოტას ხეობაში განვითარებული მოვლენების შესახებ მიმდინარე ოფიციალურ გამოძიებაში. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა მიერ გაკეთებული განცხადებებისა, რომ სოფელ ლაფანყურთან განვითარებული მოვლენების შესახებ გამოძიება სწრაფად და ეფექტურად წარიმართებოდა, ამ დრომდე უცნობია ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საზოგადოებაში შექმნილი ლეგიტიმური მოლოდინის მიუხედავად, მიმდინარე წელს არ დაძრულა სამართლებრივი მექანიზმის შექმნის საკითხი, რომელიც დაინტერესებულ პირებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობას მისცემდა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ ზემოთაღნიშნულ და სხვა პრობლემებზე მომდევნო თავებში შეჯამებული სახითაა წარმოდგენილი სახალხო დამცველის შეფასებები. თუმცა, ბუნებრივია, შეზღუდული ფორმატის გამო, წარმოდგენილი ანგარიში არ მოიცავს საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში მიმოხილულ ყველა უფლებას. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტს არ აქვს ყოვლისმომცველობის პრეტენზია. იმ ტენდენციებსა და თემებს, რომლებიც შესწავლის ეტაპზეა, ყურადღება დაეთმობა სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში. ასევე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქვეთავების ნუმერაცია ამა თუ იმ უფლების პრიორიტეტულობაზე ან ნაკლებ მნიშვნელობაზე არ მეტყველებს.

2. სასჯელალსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობა

2014 წლის დასაწყისში პატიმრობის კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა საკანონმდებლო დონეზე გააუმჯობესა პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა; სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა პატიმრობის კოდექსში სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ რეგულაციები, რომლებიც გარკვეული ცვლილებებით, თუმცა მაინც მიღებულ იქნა.

მიმდინარე წელს საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდა სასჯელალსრულების დაწესებულებებში ციხის სუბკულტურის გავლენა, რაც საქართველოს სასჯელალსრულების სისტემისთვის ახალი ფენომენი არ არის. ამ გავლენის შემცირების მიზნით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოხდეს შესაბამისი რეაგირება და მეორე მხრივ, სასჯელალსრულების დაწესებულებებში დაინერგოს ახალი სარეაბილიტაციო პროგრამები.

საანგარიშო პერიოდში გარდაიცვალა 23 პატიმარი, აქედან 5 პატიმარმა სიცოცხლე სავარაუდოდ სუიციდით დაასრულა. მნიშვნელოვანია, დეტალურად იქნას შესწავლილი გარდაცვალების თითოეული ფაქტი, რათა მომავალში მოხდეს სიკვდილიანობის გამომწვევი რისკფაქტორების დროული გამოვლენა და აღმოფხვრა. პატიმართა სიცოცხლის უფლების დაცვის თვალსაზრისით სახალხო დამცველის განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში სუიციდის სამმა შემთხვევამ და სასჯელალსრულების N14 დაწესებულებაში მსჯავრდებული გიგა ფარტენაძის მკვლელობის ფაქტმა. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა, თუ რატომ შეასახლეს მკვლელობაში ბრალდებული პატიმრები მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე გიგა ფარტენაძის საკანში. ამავე პერიოდში კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა მიოკარდიუმის ინფარქტით. საგულისხმოა, რომ დაწესებულების ექიმმა, რომელმაც პატიმარს ჩაუტარა კონსულტაცია, კარდიოლოგიური პრობლემის არსებობა გამორიცხა.

საანგარიშო პერიოდში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის (ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის) შესახებ შეტყობინებათა რაოდენობა გაიზარდა. შესაბამისად, გაიზარდა ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის შესახებ სახალხო დამცველის წინადადებათა რაოდენობა. 2014 წელს გამოძიების დაწყების მოთხოვნით სახალხო დამცველმა მთავარ პროკურატურაში 18 წინადადება გააგზავნა¹.

სისტემაში არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ადასტურებს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მიმდინარე წლის 12 ნოემბერს სასჯელალსრულების №8 დაწესებულებაში დოკუმენტირებული ფაქტიც. კერძოდ, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა საშხაპე ოთახში დაკავებული ორი მსჯავრდებული ნახეს. ორივე სველი ტანსაცმლით იწვა იატაკზე, ერთ-ერთ მათგანს ხელ-ფეხი ერთმანეთზე სპეციალური ჯაჭვით ჰქონდა მიბმული. პატიმრებს გარეგნულად აღენიშნებოდა ძალადობის კვალი, მათ შორის, ერთ-ერთს შუბლის არეში ჰქონდა ნაკვეთი ჭრილობა, საიდანაც სისხლი მოსდიოდა, ასევე, სხვა მრავლობითი დაზიანებები, ხოლო მეორეს მარჯვენა თვალში აღენიშნებოდა სისხლჩაქცევა. სახალხო დამცველის ინფორმაციის საფუძველზე, ქალაქის პროკურატურაში გამოძიება

¹ 2013 წელს გაიგზავნა 9 წინადადება.

მიმდინარეობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და სასჯელალსრულების დანესებულებაში აკრძალული ნივთით სარგებლობის მუხლებით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების არასწორი კვალიფიკაციის პრობლემას. საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, მთავარი პროკურატურისთვის მიწოდებული ინფორმაცია და მასალები იძლეოდა შესაძლებლობას პროკურატურას გამოძიება დაუყოვნებლივ დაენყო მინიმუმ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლით, რაც დანაშაულად აცხადებს არაადამიანურ მოპყრობას.

საანგარიშო პერიოდში ასევე აქტუალური იყო არასათანადო მოპყრობის შესაძლო მსხვერპლთა დაცვის საკითხი. ორ შემთხვევაში პატიმრებმა უარყვეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი, სავარაუდოდ, ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა და დანესებულებაში წარსულში ჩადენილი ქმედებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შიშით. საგანგაშოა, რომ არასათანადო მოპყრობის შესაძლო მსხვერპლი, რომელიც უთითებს დანესებულების თანამშრომლების მიერ ცემის ფაქტზე, კვლავაც იმავე დანესებულებაში რჩება.

სასჯელალსრულების დანესებულებებში არსებობს პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების ხასიათისა და წარმომავლობის სათანადო დოკუმენტირებისა და შესაბამისი რეაგირების პრობლემა. რიგ შემთხვევებში დაზიანების აღრიცხვის ჟურნალების ერთიანობა დარღვეულია, ჩანაწერების წარმოება არასრულყოფილია. პრობლემურია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროულად ჩატარება, სათვალთვალო კამერებიდან ჩანაწერების ამოღება და სხვა მტკიცებულებების მოპოვება.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ პატიმრისათვის დაზიანების წარმომავლობის შესახებ ჩამორთმეული ახსნა-განმარტებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში, ახსნა-განმარტებაში პატიმრის მიერ მითითებული გარემოებები არაადამაჯერებელია. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც პატიმარს თვალბუდის არეში აღენიშნება სილურჯე, ხოლო ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ აღნიშნული დაზიანება საწოლიდან გადმოვარდნის შედეგად მიიღო.

სასჯელალსრულების დანესებულებებში არსებული მდგომარეობა და სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ აუცილებელია პრევენციის ეროვნულ მექანიზმს ჰქონდეს დახურულ დანესებულებებში ფოტო და ვიდეო გადაღების უფლება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტმა დააჩქაროს სახალხო დამცველის ინიციატივის განხილვა და მიღება. ასევე, არსებითი მნიშვნელობისაა სახალხო დამცველს და პრევენციის ეროვნულ მექანიზმს ჰქონდეთ დაშვება დახურულ დანესებულებაში განთავსებული ვიდეო კამერების ჩანაწერებზე.

მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციისა, სასჯელალსრულების დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ პატიმრის არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო და აწარმოოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, რიგ შემთხვევებში გამოძიებას იწყებს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, რაც ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

სასჯელალსრულების სისტემაში, უსაფრთხოების დაცვის ფორმალური საფუძვლით, გავრცელებულია ხანგრძლივი ვადით პატიმართა საკანში მარტო მოთავსებისა და ელექტრონული მეთვალყურეობის პრაქტიკა, რაც უარყოფითად აისახება პატიმრის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და კეთილდღეობაზე. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ტენდენცია. კერძოდ, გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პატიმარი გადაიყვანეს სასჯელალსრულების სხვა დანესებულებაში და მოათავსეს საკარანტინო ნაწილში. კარანტინის 15 დღიანი ვადის გასვლამდე იგი კვლავ გადაიყვანეს და მოათავსეს სხვა დანესებულების საკარანტინო რეჟიმში, სადაც 15 დღიანი ვადის ათვლა თავიდან დაიწყო. ამგვარი პრაქტიკა გამოიყენება ე.წ. პრობლემური პატიმრების მიმართ და ეწინააღმდეგება საკარანტინო რეჟიმში პატიმრის განთავსების კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში ხაზი გაუსვა დისციპლინური სახდელის არაპროპორციული და არაერთგვაროვანი გამოყენების პრობლემას. ტენდენცია 2014 წელსაც შენარჩუნდა, როდესაც სასჯელალსრულების რამდენიმე დანესებულებაში, დისციპლინური სახდელის სახით ძირითადად გამოყენებული იყო სამართლო საკანში მოთავსება. სამართლო საკანებში კი პირობები არაადამაჯერებელია, არ არის ვენტილაცია, ვერ ხერხდება სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და რაც მთავარია, პატიმრებს არ ეძლევათ ლეიბი და თეთრეული, რის შედეგადაც უწევთ წარზე წოლა². საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ზემოთ აღწერილ პირობებში პატიმრის მოთავსება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის შემონმების შედეგები³ ცხადყოფს, რომ პატიმართა ბადრაგირება

2 მაგალითად, 2014 წლის 24 ოქტომბერს განხორციელებული ვიზიტისას გაირკვა, რომ სასჯელალსრულების N3 დანესებულების სამართლო საკანებში არ იყო ვენტილაცია. ტუალეტში, რომელიც საკანისგან ნახევრად არის გამოყოფილი, არ მოდიოდა წყალი, არ იყო გათბობა, ხოლო პატიმრებს უწევდათ პირდაპირ წარზე წოლა. სიცივისგან დასაცავად პატიმრებს ტანსაცმლის ქვემოთ, ტანზე ტუალეტის ქალაღდი ჰქონდათ შემოსხვეული.

3 2014 წელს, სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტმა პირველად განახორციელა პატიმართა ბადრაგირების პირობების მონიტორინგი.

ადამიანის ღირსების შემლახავ პირობებში ხდება. პატიმართა ბადრაგირებისათვის განკუთვნილ ავტომანქანებში არსებული პირობები არაადამაკმაყოფილებელია და პატიმრებს დიდ დისკომფორტს უქმნის⁴.

საანგარიშო პერიოდში გარემონტდა და გაიხსნა სასჯელალსრულების ცენტრალური საავადმყოფო, რამაც გარკვეულწილად გააუმჯობესა სამედიცინო მომსახურება; გარემონტდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის N16 დანესებულება. პენიტენციური ჯანდაცვის მიმართულებით დადებითად უნდა შეფასდეს ვირუსული „ც“ ჰეპატიტის სამკურნალო პროგრამისა და სუიციდის პრევენციის პროგრამის განხორციელება. მიუხედავად ამ პოზიტიური ცვლილებებისა, სასჯელალსრულების სისტემაში კვლავ არსებობს ადეკვატური სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდებასთან, მათ შორის, მედიკამენტების ხელმისაწვდომობასთან, პოსტოპერაციულ რეაბილიტაციასთან, ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენასთან, წამალდამოკიდებულებისა და ფსიქოტროპული მედიკამენტების ზედოზირებულ მოხმარებასა და სუიციდის პრევენციასთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე, სასჯელალსრულების რიგ დანესებულებებში⁵ მოუწესრიგებელია სამედიცინო ინფრასტრუქტურა.

სასჯელალსრულების უმეტეს დანესებულებებში შენობის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა სავენტილაციო სისტემა გაუმართავია და არც მსჯავრდებულები არიან 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელალსრულების N7 დანესებულებაში არსებული პირობები არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს და უნდა დაიხსროს. დახურული ტიპის დანესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურა არ აძლევს პატიმრებს საშუალებას დაკავდნენ სპორტით ან სხვა საინტერესო აქტივობით, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობაზე.

პატიმრებს გააჩნიათ მრავალი ყოფითი პრობლემა, მათ შორის, განსაკუთრებულ პროტესტს იწვევს დანესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში პროდუქციის სიმწირე და აფთიაქის არარსებობა. დანესებულებებში ასევე მწვავედ დგას ტელევიზორისა და რადიო მიმღების ქონის საკითხი.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა პატიმართა ერთი დანესებულებიდან მეორე დანესებულებაში ხშირი გადაყვანის მზარდი ტენდენცია. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის აპარატი მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეესწავლა გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა, რადგან, სასჯელალსრულების დეპარტამენტის ოფიციალური განმარტების მიხედვით, გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს სასჯელალსრულების დანესებულების დირექტორის საიდუმლო წერილი, რომელიც შეიცავს ოპერატიულ ინფორმაციას, ხოლო ამ ტიპის ინფორმაციაზე სახალხო დამცველს დაშვება არ აქვს.

2014 წლის განმავლობაში, რამდენიმე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პატიმართა კოლექტიურ პროტესტს. მართალია, პროტესტის ძირითად მიზეზს განაჩენთა გადასინჯვის შესაძლებლობის არქონა წარმოადგენდა, მაგრამ რიგ შემთხვევებში, პატიმრები უთითებდნენ სასჯელალსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე, ჯანდაცვისა და საყოფაცხოვრებო პრობლემებზე.

3. არასათანადო მოპყრობა და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სამართალდამცავების მიერ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე არაერთი განცხადება შეისწავლა. იმის გათვალისწინებით, რომ უმრავლეს შემთხვევებში მსგავსი ქმედებების გამოძიება არაეფექტურად მიმდინარეობს, 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ მთავარ რეკომენდაციას სამართალდამცავების მიერ სიცოცხლის მოსპობის, წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე გამოძიების წარმოებისათვის დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა წარმოადგენს. სახალხო დამცველის მოსაზრება საყურადღებოდ მიიჩნია საქართველოს პარლამენტმა⁶. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმამ გაითვალისწინა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საკითხზე განხილვების დაწყების აუცილებლობა.⁷ სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ხელისუფლება ახლო მომავალში გადადგამს ქმედით ნაბიჯებს ამ მიმართულებით.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ დროებითი მოთავსების იზოლაციონების მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა დაკავების დროს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენების ტენდენციას. შესაბამისი დოკუმენტაციის შემო-

4 აღსანიშნავია, რომ ბადრაგირებისთვის გამოყოფილ „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაში ცალკე არის გამოყოფილი მცირე ზომის მეტალის კაბინა, რომელსაც უმეტესად ქალი პატიმრების გადასაყვანად იყენებენ. კაბინაში სივინროვე, უჰაერობა და სრული სიბნელეა. საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აღნიშნულ კაბინაში პატიმრის მოთავსება წარმოადგენს ადამიანის დამამცირებელ მოპყრობას.

5 მაგალითად, სასჯელალსრულების N6, N7, N17 დანესებულებები.

6 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, დოკუმენტი №2652-რს, 1 აგვისტო, 2014.

7 ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმარტებული საუნეებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შექმნილი მე-2 სამუშაო ჯგუფი განიხილავს წამებისა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისა და გამოძიების მექანიზმის საკითხს.

წმების შედეგად გაირკვა, რომ რამდენიმე შემთხვევაში დაკავებული პირი დაკავების შემდგომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ფიზიკურ ძალადობაზე მიუთითებდა.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების გამოძიების წინადადებით საქართველოს პროკურატურას 7 შემთხვევაში მიმართა. მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტები უფრო ხშირია დასავლეთ საქართველოში. სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილი 7 წინადადებიდან 4 ეხებოდა დასავლეთ საქართველოში გამოვლენილ ფაქტებს.

2014 წელს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურატურაში გააგზავნა 25 წინადადება, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა მიმართ ან/და სამართალდამცავების მიერ დაკავების დროს ან მას შემდეგ სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი, 144³-ე მუხლით, ყველა დანარჩენ შემთხვევაში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) წარიმართა, რაც წლების განმავლობაში წარმოადგენდა მანკიერ პრაქტიკას. კვალიფიკაციის გარდა საგანგაშოა ის ფაქტი, რომ უმეტეს შემთხვევაში გამოძიებას ატარებს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი და არა საქართველოს პროკურატურა. რამდენიმე შემთხვევაში, სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიებაც კი არ დაიწყო და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა და პატიმართა განმარტებების საფუძველზე ჩათვალა, რომ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. სახალხო დამცველის აპარატისთვის 23 წინადადებიდან არცერთზე არ არის ცნობილი გამოძიების მიერ გამოვლენილია თუ არა ბრალდებული პირი.

2014 წლის განმავლობაში ზემოაღნიშნულ საქმეთა შესწავლის შედეგები აჩვენებს, რომ მსგავსი დანაშაულების გამოძიების და დამნაშავე პირთა დასჯის კუთხით საქართველოს პროკურატურის საქმიანობა არაეფექტურია.

საქართველოს პროკურატურის მოქმედებები ამ და სხვა არაერთ საქმეზე ხაზს უსვამს უმოკლეს ვადებში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობას, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან, მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, წმების, არაადამიანური და ღირსებისშემლახავი მოპყრობის ფაქტებს გამოიძიებს.

4. რელიგიის თავისუფლება

2014 წელს უმცირესობების მიერ რელიგიის თავისუფლებით სრულყოფილად სარგებლობის კუთხით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

2014 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, რომლის ფუნქცია რელიგიის სფეროში ქვეყანაში სხვადასხვა პრობლემური საკითხების შესწავლა და გადანყვეტილების მიღების პროცესში რელიგიურ გაერთიანებათა ჩართულობის უზრუნველყოფაა. სააგენტოს შექმნას წინ არ უძღოდა ფართო მსჯელობა ამგვარი სტრუქტურის აუცილებლობის შესახებ და დღემდე ბუნდოვანი რჩება მისი საქმიანობის მანდატი და მიზნები.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმა საქართველოს მთავრობის გადანყვეტილებას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს გარდა, საქართველოში არსებული სხვა რელიგიური გაერთიანებების დაფინანსებასთან დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნა, რომ დაფინანსების შემოთავაზებული ფორმა ვერ უზრუნველყოფს დისკრიმინაციის აღმოფხვრას და დაფინანსების ადეკვატური მოდელის შესამუშავებლად აუცილებელია გაგრძელდეს კონსულტაციები რელიგიურ გაერთიანებათა ფართო სპექტრთან.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად დარჩა სადავო რელიგიურ ნაგებობათა კუთვნილების საკითხი. აღნიშნულმა პრობლემამ მთელი სიმწვავეით იჩინა თავი ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში, როდესაც ადიგენის მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი მუსლიმი თემის ჩართულობის გარეშე მიიღო გადანყვეტილება მეჩეთის დემონტაჟთან დაკავშირებით, რასაც მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა. საქართველოს სახალხო დამცველისათვის არ არის ცნობილი აღნიშნული სააგენტოს მუშაობის შედეგები ამ პროცესში.

რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთათვის 2014 წელსაც პრობლემას წარმოადგენდა რელიგიური ნაგებობების მშენებლობის ნებართვის მიღება. სახალხო დამცველი სწავლობს თერჯოლაში იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის მშენებლობისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ პროცესის კანონდარღვევით, განზრახ გაჭიანურების ფაქტს.

განსაკუთრებული შეშფოთების საგანს წარმოადგენს ქობულეთში, მუსლიმთა პანსიონის გახსნის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, რომელიც დღემდე არ დარეგულირებულა. ქობულეთში მუსლიმთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ფაქტებზე სამართალდამცავთა უმოქმედობა საგანგაშოა. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება ვერ მოახდენს მსგავსი შემთხვევების პრევენციას მომავალში.

მიმდინარე წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის იეჰოვას მოწმეთა მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის რამდენიმე ათეული ფაქტი გახდა ცნობილი.

კვლავაც გადაუჭრელია საჯარო სასკოლო განათლების სივრცეში რელიგიური დისკრიმინაციისა და ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნათა იმპლემენტაცია.

სახალხო დამცველი წლებია საუბრობს საბჭოთა პერიოდში რელიგიური გაერთიანებებისთვის ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის პრობლემის მოუგვარებლობაზე, რაც ხუროთმოძღვრების ძეგლების მნიშვნელოვან დაზიანებას იწვევს. წელს თბილისში ერთ-ერთი ე.წ. სადავო ტაძრის, სურბ მინასის სახურავი ჩამოინგრა. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ყველა ამ ძეგლზე გამაგრებითი, საკონსერვაციო სამუშაოების განხორციელების გარდა, მათი ისტორიული მემკვიდრეობისთვის გადაცემის პროცესის დაწყება.

დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფო გამწვევი კომისიის მუშაობა, სასულიერო პირად გახდომის გამო, იეჰოვას მოწმეთა ალტერნატიული შრომითი სამსახურიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების კუთხით.

5. პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება

2013 წელს ათასობით უკანონოდ მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების აღმოჩენის შემდგომ, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების ეფექტურად დაცვის აუცილებლობას აქტუალურობა არც 2014 წელს დაუკარგავს.

2014 წლის 29 მაისს საქართველოს პარლამენტმა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი დაამტკიცა, რომლითაც ფარული მიყურადებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით ახალი რეგულაციები დაწესდა.

მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, პარლამენტმა ღიად დატოვა საკითხი, თუ რომელ სუბიექტს უნდა ჰქონოდა პირდაპირი წვდომა სატელეფონო მოსმენებზე. კერძოდ, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2014 წლის 1 აგვისტოს კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტს 2014 წლის 1 ნოემბრამდე უნდა უზრუნველყო შესაბამისი რეგულაციების მიღება ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების მეშვეობით განხორციელებული კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაციის მოპოვების წესთან და ინფორმაციის მოპოვებაზე ეფექტური გარე კონტროლის მექანიზმთან დაკავშირებით. ვინაიდან აღნიშნულ ვადამდე საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა, პარლამენტმა კენჭი უყარა საკითხის 2015 წლის 28 თებერვლამდე გადავადებას, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა ვეტო დაადო და საკანონმდებლო ორგანოს საკუთარი კანონის პროექტი წარუდგინა. პროექტის თანახმად, საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 1 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყო შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციის მიღება.

საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, უახლოესი წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, როდესაც ადამიანის კერძო ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში გამოიყენებოდა არა დანაშაულთან ბრძოლის, არამედ შანტაჟის იარაღად, დაუშვებელია ფარული მიყურადების ე.წ. „გასაღები“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების რეალიზება მუდმივი რისკის ქვეშ იქნება. გარდა ამისა, სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან კოლეგიური ორგანოს (ე.წ. საბჭო) შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციის სფეროში ინფორმაციის დაცულობის ხარისხზე კონტროლს და რომელშიც თანამდებობრივად შევლენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები და საქართველოს სახალხო დამცველი.

6. შიქრება-მანიფესტაციისა და გამოხატვის თავისუფლება

საანგარიშო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია შეკრებების დარბევას ან არაპროპორციული ძალის გამოყენებას დემონსტრანტების წინააღმდეგ. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც ხელისუფლებამ ვერ შეძლო პოლიტიკური ოპოზიციის წევრები ძალადობრივი თავდასხმისაგან დაეცვა. მაგალითად, 2014 წლის 9 ივნისს, ზუგდიდში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისთან გამართული ძალადობრივი დაპირისპირების დროს, ადგილზე პოლიციის მობილიზაციის მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობის ერთი წარმომადგენელი დაშავდა. ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო, თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, მოცემულ ეტაპზე არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა და შედარებით მრავალფეროვანი გახდა მედია გარემო. ხელისუფლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია მედია საშუალებების სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის ამჟამად გამოხატულ მცდელობებს. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში ხელისუფლების წარმომადგენლები უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ კრიტიკული რეპორტაჟების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ჟურნალისტების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შემთხვევები, წინასაარჩევნო პერიოდში, ადგილი ჰქონდა ორ ძალადობრივ ინციდენტს რეგიონული ჟურნალისტის მიმართ.

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის ზაზა დავითაიას ცემისა და ჟურნალისტ ნათია მიქიაშვილის მიმართ განხორციელებული სავარაუდო მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურატურას სწრაფი და ეფექტური საგამოძიებო მოქმედებების გატარებისკენ მოუწოდა.

7. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, კვლავ ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. საზოგადოება კვლავ ცხოვრობს სტერეოტიპულ გარემოში, სადაც, უმრავლეს შემთხვევაში, ქალის მიმართ ოჯახში ძალადობა გამართლებული ქმედებაა; მაღალია ადრეულ ასაკში ქორწინების რიცხვი, ქალები წარმოადგენენ უმცირესობას გადანყვეტილების მიღების დონეზე და ხშირია გენდერული იდენტიფიკაციისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით უფლებადარღვევის შემთხვევები.

ყველაზე მეტად ქალთა უფლებები ირღვევა იქ, სადაც ადამიანი ყველაზე დაცულად უნდა გრძნობდეს თავს - ოჯახში. საანგარიშო პერიოდში შემაშფოთებელი იყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მასშტაბები და სიმძაფრე. უკანასკნელი თერთმეტი თვის მანძილზე პარტნიორის ან ყოფილი მეუღლის მხრიდან 20-ზე მეტი ქალი იქნა მოკლული. საგანგაშოა, რომ რამდენიმე შემთხვევაში მსხვერპლს, შესაბამისი რეაგირების თხოვნით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის, ინციდენტამდე ჰქონდა მიმართული. ქალთა მიმართ ძალადობა გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტის შეშფოთების საგნადაც იქცა. კერძოდ, 2014 წელს 58-ე სესიაზე საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული ანგარიშების განხილვის შედეგად კომიტეტმა საქართველოს მთავრობას, ქმრებისა და პარტნიორების მიერ ქალთა მკვლელობების მზარდი ფაქტებისა და ოჯახში ძალადობის სხვა სახეების აღსაკვეთად, სასწრაფო ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებასთან ერთად, მთავარ გამოწვევას დაცვისა და დახმარების ღონისძიებების არაადეკვატური გამოყენება წარმოადგენს. ხშირად, ძალადობის მსხვერპლ ქალთა დასაცავად არ ხდება იმ მექანიზმების გამოყენება, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული და შესაბამისად, მათი თხოვნა დახმარების თაობაზე სამართალდამცავების მხრიდან უგულებელყოფილი რჩება.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ევროპის საბჭოს 2011 წლის „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის (სტამბულის კონვენცია) ხელმოწერას, თუმცა, მიაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესია უმოკლეს პერიოდში მოხდეს კონვენციის რატიფიცირება.

გენდერული ნიშნით ძალადობის ერთ-ერთი ფორმის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განხილვისას, საქართველოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევაა სექსტრეფიკინგი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2014 წლის ანგარიშის მიხედვით⁸, საქართველოს სახელმწიფო სრულად ვერ ასრულებს ტრეფიკინგის აღმოფხვრის მინიმალურ სტანდარტს, არსებობს პრობლემები შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და მასში ჩართულ პირთა გამოვლენის მიმართულებით. ანგარიშის მიხედვით, გოგონები და ქალები საქართველოდან არიან სექსტრეფიკინგის მსხვერპლნი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე - ქვეყნის გარეთ; ჩართულნი არიან იძულებით პროსტიტუციაში ისეთ ტურისტულ ადგილებში, როგორიცაა ბათუმი და გონიო, თუმცა ასეთ შემთხვევებზე სახელმწიფო რეაგირების ღონისძიებები არასაკმარისია.

ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლით, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს პროგრესი არ განუცდია. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით, ქალთა წარმომადგენლობამ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მხოლოდ 11.1% შეადგინა. საქართველოს მთავრობაში ქალთა წარმომადგენლობის პროცენტული მაჩვენებელი 16 %-ს შეადგენს, საქართველოს პარლამენტში კი მხოლოდ 11%-ია.

2014 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის⁹ მიხედვით, საქართველო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებლით 142 ქვეყანას შორის 94-ე ადგილზეა. ხოლო პარლამენტ-თაშორისი კავშირის მონაცემების¹⁰ მიხედვით, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, 189 ქვეყანას შორის 115-ე. მაშინ, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის 53 %-ს ქალები შეადგენენ, მაგრამ მათი ხმა გადანყვეტილების მიღების პროცესში 20%-მდეც ვერ აღწევს, რთულია ვისაუბროთ გადანყვეტილების მიღების პროცესში სქესთა თანაბარ მონაწილეობაზე.

8 იხილეთ: <http://www.state.gov/documents/organization/226846.pdf>

9 იხილეთ: http://www3.weforum.org/docs/GGGR14/GGGR_CompleteReport_2014.pdf

10 იხილეთ: <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm>

ქალთა ეკონომიკური აქტივობის და ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მაჩვენებლით საქართველო 142 ქვეყანას შორის 66-ე ადგილზეა. გამომწვევი მიზეზები მრავალმხრივია, თუმცა, უნდა აღინიშნოს წინა სახელმწიფოებო ურთიერთობებში ქალთა დისკრიმინაციის შემთხვევები მომავალი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების თავიდან ასაცილებლად; ასევე, ორსულ ქალთა სამსახურიდან გათავისუფლება, კარიერული წინსვლის შემაფერხებელი ხელოვნური ბარიერები, სექსუალური შევიწროვების ტაბუდადებული საკითხი და სხვა.

შემაშფოთებელია ქალთა ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი, რომლის მიხედვით საქართველო 142 ქვეყანას შორის 115-ე პოზიციაზეა. განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას განეკუთვნებიან მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები, რომელთა რიცხოვნობა მაღალია, თუმცა, სახელმწიფოში დაცვისა და დახმარების სპეციალური ღონისძიებები არ ხორციელდება.

პრობლემად რჩება ადრეულ ასაკში ქორწინების მაღალი მაჩვენებელი. საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი მოწოდების მიუხედავად, პრობლემის მიმართ შესაბამისი უწყებების არასათანადო ყურადღება, მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე და უწყებათაშორისი კოორდინაცია კვლავ მთავარი გამოწვევებია. მისასალმებელია განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა იძულებითი ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმი, თუმცა, მთავარი გამოწვევა ყოველთვის იყო არსებული რეგულაციების იმპლემენტაცია. მნიშვნელოვანია, რომ ისეთ თემებში, სადაც გოგონათა გასხვისება შინაური ცხოველებისა და ფულის სანაცვლოდ დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს, გააქტიურდეს სოციალური სამსახური, პოლიცია და საგანმანათლებლო დაწესებულებები.

8. სათანადო სახსოვრების უზღუდა

2014 წლის დასაწყისში, გასული წლების მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მაღალი იყო თავშესაფრის ან სათანადო საცხოვრებელი პირობების უქონლობასთან დაკავშირებით მიღებული განცხადებების რაოდენობა. ამ მხრივ აღსანიშნავია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, სადაც მდგომარეობა საგანგაშოა, უფლებათა დარღვევის ფაქტები არ ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს და სისტემურ პრობლემად ჩამოყალიბდა.

ისევე, როგორც წინა წლებში, მიმდინარე წელსაც პრობლემად რჩება უსახლკარო პირთა მონაცემთა ერთიანი ბაზის არარსებობა. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, უცნობია საქართველოს მასშტაბით რამდენი ადამიანი საჭიროებს თავშესაფარს. ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის არარსებობის პირობებში შეუძლებელია სათანადო ფინანსური სახსრების მობილიზება და პრობლემების გადასაჭრელად ეფექტიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

საგანგაშო მდგომარეობაა ხელვაჩაურში, ბათუმთან მდებარე ე.წ. „მუყაოს დასახლებაში“, რომელიც 2012 წელს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაჩნდა. რამდენიმე ასეულ ფიცრულში მოხუცები, ბავშვები და შშმ პირები ცხოვრობენ. მათი უმრავლესობა სოციალურად დაუცველია, არ გააჩნია საცხოვრებელი ან/და რეგისტრაციის ადგილზე მდებარე შენობა საშიშია საცხოვრებლად. საცხოვრებელი პირობები „მუყაოს ქალაქში“ როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის პერიოდში საგანგაშოა. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში შეიქმნა კომისიები, რომელთა მანდატს „მუყაოს ქალაქში“ მცხოვრებ პირთა საკითხის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება წარმოადგენდა, დღემდე არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები პრობლემის მოსაგვარებლად.

9. საკუთრების უზღუდა

არაერთი წელია აქტუალური რჩება მინის ნაკვეთების ზედდების, ე.წ. გადაფარვის პრობლემა, რომელიც ელექტრონული საკადასტრო-აზომვითი ნახაზების შემოღებას უკავშირდება. თუმცა, ვინაიდან სავალდებულო არ გამხდარა ქალაქებში შესრულებული საკადასტრო მონაცემების ელექტრონულ სისტემაში გადაყვანა, ფაქტიურად არსებობს საკადასტრო მონაცემების აღრიცხვის ორი პარალელური სისტემა.

დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული, ერთიანი ელექტრონული საკადასტრო ბაზის შექმნა და ქალაქის აზომვითი ნახაზებით რეგისტრირებული უძრავი ქონების ელექტრონულ ფორმატში გადატანა. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის ამ დრომდე უცნობია პასუხისმგებელი უწყებების მიერ რა ნაბიჯები გადაიდგა გეგმის შესრულებისთვის. გეგმით განერილი მოქმედებების შესრულების ვადა 2014-2015 წლებია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გეგმით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელებამდე ხელყოფის რისკის ქვეშ რჩება მოქალაქეთა არაელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული საკუთრების უფლება.

ტენდენციად გამოიკვეთა, რომ ხშირად, მიწის ნაკვეთები, რომლებიც კერძო პირთა საკუთრებაში ქალაქის საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე რეგისტრირებული, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ან ადგილობრივი თვითმმართველობის წერილის საფუძველზე, სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებად რეგისტრირდება სსიპ საჯარო რეესტრში ელექტრონული საკადასტრო მონაცემებით. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი რეგისტრაციები დღემდე არსებობს და მიმდინარეობს ადმინისტრაციული თუ სასამართლო დავები, სახელმწიფო ორგანოებს (ეკონომიკის სამინისტრო/ადგილობრივი თვითმმართველობა) არ გააჩნიათ კერძო პირთა დარღვეული საკუთრების უფლების აღდგენის ნება.

2014 წლის განმავლობაში პროგრესი არ ყოფილა არც იმ პირთა უფლებების აღდგენის კუთხით, რომელთაც გასული წლების განმავლობაში მასიურად შეეზღუდათ საკუთრების უფლება.

10. შრომის უფლება საჯარო სამსახურში

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ადგილი ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ მოხელეთა მასიურ გათავისუფლებას. თბილისის მუნიციპალიტეტში თანამდებობიდან სულ 387 მოხელე გათავისუფლდა.

სახალხო დამცველს თვითმმართველობის ორგანოს არაერთმა ყოფილმა თანამშრომელმა მიმართა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადებები ზემდგომი თანამდებობის პირების მოთხოვნითა და მუქარის საფუძველზე დაწერეს, რაც ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა დანაშაულის ნიშნებს შეიცავდეს და საგამოძიებო ორგანოების ინტერესის საგანი უნდა გახდეს.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა საჯარო დაწესებულებებიდან მოხელეთა გათავისუფლების შემთხვევები, როდესაც დისციპლინური გადაცდომის საფუძველით გათავისუფლების შემთხვევაში გამოცემული ბრძანებები არ იყო სათანადოდ დასაბუთებული, ან როდესაც მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდა რეორგანიზაციის საფუძველით, თუმცა რეალურად საშტატო ერთეული არ შემცირებულა.

11. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის არაერთ ძალისხმევას ბავშვთა უფლებების გაუმჯობესების მიმართულებით. იმ ნაბიჯებს შორის, რომელიც ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით გადაიდგა, აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიღება, რომლის მე-13 თავი არეგულირებს ბავშვის უფლებათა მონიტორინგისა და კოორდინაციის მექანიზმის გაძლიერებას, ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარებას, ბავშვთა სიღარიბის აღმოფხვრას, ბავშვის მიმართ ძალადობაზე ქმედითი რეაგირების მექანიზმის შექმნას და სხვა საგულისხმო საკითხებს.

თუმცა, მიუხედავად ნორმატიულ დონეზე ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონესრიგების თვალსაზრისით გადადგმული არაერთი ნაბიჯისა, ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში კვლავ არაერთი გამოწვევა არსებობს.

ბავშვთა სახელმწიფო ინსტიტუციების მონიტორინგმა გამოავლინა ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე და არასრულწლოვანთა ცხოვრების არასათანადო დონე, რთულად ხელმისაწვდომია სახელმწიფო ჯანდაცვის სერვისები და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება. ზოგადი განათლების უფლების განხორციელების მიმართულებით კი, პრობლემურია მოძველებული და საფრთხის შემცველი ინფრასტრუქტურა; განათლების დაბალი ხარისხი; შედაგოგთა არასაკმარისი კვალიფიკაცია; კონკრეტულ ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში შედაგოგთა ნაკლებობა; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების არასათანადო დანერგვა და ფიზიკური გარემოს ნაწილობრივი და უხარისხო ადაპტაცია შშმ მოსწავლეებისათვის.

მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მონიტორინგმა აჩვენა, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში არსებობს პრობლემები აღმზრდელთა დაბალი კვალიფიკაციის, აღსაზრდელთა მიმართ არასათანადო მოპყრობის, განათლების უფლების სათანადოდ განხორციელებისა და ბავშვის ძალადობისგან დაცვის კუთხით.

სკოლამდელი სააღმზრდელი დაწესებულებების მონიტორინგმა გამოავლინა შემდეგი პრობლემები: საბავშვო ბაღების გადატვირთულობა, რაც აღნიშნული დაწესებულებების არასაკმარის რაოდენობას უკავშირდება; მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობა; მთელ რიგ შემთხვევებში უმძიმესი, ბავშვის ფიზიკური გარემოსთვის შეუფერებელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები; ადრეული და სკოლამდელი განათლების უფლების პრაქტიკაში არასაკმარისი განხორციელება და აღმზრდელთა დაბალი კვალიფიკაცია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტზე მუშაობის, მსჯავრდებულთა, მათ შორის, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის გაძლიერების პოლიტიკის, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიმართულებით მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელების მიუხედავად, არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ, კვლავ არაერთი პრობლემა რჩება. კერძოდ, დარეგულირებას საჭიროებს არასრულწლოვან ბრალდებულთა განცალკევების საკითხი სრულწლოვანი პატიმრებისგან; დაწესებულებებში არსებული არასათანადო ფიზიკური გარემო, მათ შორის, მძიმე სანიტარულ-ჰიგიენური პირობები; დარღვევები განათლების უფლების განხორციელების მიმართულებით; არასრულწლოვან პატიმართა უსისტემო დღის რეჟიმი; და არაეფექტური ფსიქიატრიული მომსახურება. არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის შეზღუდულია სატელეფონო ზარის განხორციელებისა და პაემნის უფლება.

2013 წლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წამოწყებული პროექტი „ვიზრუნოთ ყველაზე დაუცველ ბავშვებზე საქართველოში“, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდთან და ევროკავშირთან თანამშრომლობით ხორციელდება, როგორც ბავშვების ქუჩისაგან განრიდების მექანიზმი, შემდგომ დახვეწასა და მეტ ინსტიტუციონალიზაციას მოითხოვს.

კვლავ პრობლემად რჩება ოჯახსა და სახელმწიფო სასწავლო-სააღმზრდელი დაწესებულებებში ბავშვის მიმართ ყველა ფორმის ძალადობის პრევენციის ქმედითი მექანიზმის არარსებობა. ბავშვზე ზრუნვის სფეროში მომუშავე კადრები არ ფლობენ ინფორმაციას ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ. აღნიშნულ დაწესებულებებში არ არის შემუშავებული ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის სტრატეგია და მისი განხორციელების მექანიზმი, რაზეც მეტყველებს ოჯახსა და სასწავლო დაწესებულებაში ბავშვის მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებელი.

12. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებაები

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია და გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა. თუმცა, ამავე კონვენციის ფაკულტატური ოქმი, რომელიც უფლებადარღვევის მსხვერპლს გაეროს შესაბამის კომიტეტში გასაჩივრების უფლებას ანიჭებს, დღემდე არ არის რატიფიცირებული.

2014 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის სტრუქტურად საქართველოს სახალხო დამცველი დაასახელა. ამ ფუნქციის განხორციელების მიზნით 2015 წლის იანვრიდან საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში შეიქმნება კონვენციის მონიტორინგის მექანიზმი.

მიმდინარე წელს მიღებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა,¹¹ რომელიც ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მსგავსად, მიზნად ისახავს კონვენციით ნაკისრი ვალდებულების განხორციელებას. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტები არ შეიცავს ინფორმაციას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო კვლევებისა და ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე, რამაც შეიძლება დააბრკოლოს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების პროცესი.

საქართველოს პარლამენტმა გასული წლის დეკემბერში დაამტკიცა „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სტრატეგია“ - შესაბამისი სამთავრობო სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ არ არის მიღებული. დღემდე პრობლემად რჩება ფსიქიკური დახმარების თავშესაფრების და მედიკამენტების მიღებისთვის საჭირო დოკუმენტაციის გამცემი დაწესებულებების ხელმისაწვდომობა, ბიო-ფსიქო-სოციალური საჭიროებების მიხედვით თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარება/გაძლიერება.

შშმ პირთა ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არაერთი ღონისძიება განახორციელა, მაგრამ,¹² დღემდე ინკლუზიური განათლების სისტემის მიღმა რჩება ადრეული და სკოლამდელი განათლება, დღის ცენტრების და საჯარო სკოლების თანამშრომლობისა და კოორდინაციის საკითხი, უმაღლესი განათლების ინკლუზიურ განათლებაში ჩართვა, მშობელთა განათლების სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა. მიმდინარე წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიული პირმა „112“ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია სმენის არმქონე პირთათვის საგანგებო და გადაუდებელი სერვისების ხელმისაწვდომობის თაობაზე და შეიმუშავა პროექტი, რომელიც სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირებს „112“-თან მოკლე ტექსტური შეტყობინების ან ვიდეო-ზარის მეშვეობით დაკავშირების შესაძლებლობას მისცემს. აღნიშნული პროექტი შემუშავების ფაზაშია და 2015 წლის შემოდგომაზე ამოქმედდება.

11 http://www.government.gov.ge/files/381_40157_501181_76200114.pdf

12 მათ შორის, საჯარო სკოლების ზოგად ინკლუზიურ განათლებაში ჩართვა, სპეციალური პედაგოგების დაფინანსება/მათთვის სპეციალური სამაგისტრო მოდულის შემუშავება და დანერგვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესიული განათლების სტრატეგიის იმპლემენტაცია, 293 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პროფესიულ განათლებაში ჩართვა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გაგზავნილი არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, დღემდე პრობლემას წარმოადგენს შშმ პირთა მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების, შესაბამისი მხარდაჭერი სერვისებისა და რეაბილიტაციის რეფერალის შექმნა.

კვლავ გამონვევად რჩება შშმ ბავშვთა მომსახურების ერთიანი სისტემის შექმნა, ოჯახის მხარდაჭერი სერვისების განვითარება, შინ მოვლის/შინ მომსახურების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და დანერგვა; ასევე, 0-3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭება; მოზარდთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის არარსებობა, თემზე დაფუძნებული საოჯახო ტიპის სერვისებისა და სოციალური საცხოვრისის დანერგვა/განვითარება.

სახელმწიფოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამონვევად რჩება შშმ პირთა დასაქმება. სახელმწიფოს მხრიდან ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული მათი დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკა და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, რამაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინკლუზიისთვის.

13. ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში ლგბტ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. საზოგადოებაში არსებულ ჰომოფობიურ დამოკიდებულებებთან ერთად კვლავ გამონვევას წარმოადგენს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების დროული, ეფექტური და ანგარიშვალდებული გამოძიების საკითხი. 2013 წლის 17 მაისს მომხდარი ძალადობის არც ერთ ფაქტზე არ დამდგარა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და არავინ დასჯილა სიძულვილით განპირობებული ფიზიკური ძალადობის ჩადენისთვის.

2014 წლის 17 მაისს, როდესაც მსოფლიოში ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება, საქართველოში მართლმადიდებელმა ეკლესიამ და მრევლმა ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღე აღნიშნა. 17 მაისი არ აღნიშნეს ლგბტ თემის წარმომადგენლებმა და უფლებადამცველებმა, გასული წლების გამოცდილების საფუძველზე მიიჩნევდნენ რა, რომ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა მათი უსაფრთხოების დაცვას.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის მიღებამდე გამართული დისკუსიებისას გამოხატული საზოგადოებრივი აზრი, რომ დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველით არ უნდა მოქცეულიყო აღნიშნული კანონით დაცულ სფეროში, კიდევ ერთხელ მიუთითებს არსებული სტერეოტიპების სიძლიერეზე და საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.

14. ეროვნული უმცირესობები

2014 წლის განმავლობაში ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით, ფუნდამენტური ცვლილებები არ მომხდარა და არსებული მდგომარეობა კვლავ უცვლელი დარჩა. თუმცა, მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს საქართველოს პარლამენტის მიერ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღება. კანონმა უმცირესობების წარმომადგენლებისთვის არსებულზე უფრო ეფექტური დაცვის მექანიზმები შექმნა.

მიმდინარე წელს კვლავ დაბალი იყო ეროვნული უმცირესობების მონაწილეობისა და ჩართულობის მაჩვენებელი გადანყვეტილების მიღების პროცესში. უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, ე.წ. „გამსვლელ სიებში“ ეროვნული უმცირესობები ძირითადად ყველა მუნიციპალიტეტში იყვნენ წარმოდგენილი; განსხვავებით დედაქალაქის საკრებულოსგან, სადაც, ისევე, როგორც წინა წლებში, ამჟამადაც არცერთი წევრი არ არის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი. ეროვნული უმცირესობების სრულფასოვანი მონაწილეობა დედაქალაქის თვითმმართველობაში კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამონვევად.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში წარმატებულად მიმდინარეობს ე.წ. „ერთს პლიუს ოთხი სისტემით“ ეროვნული უმცირესობების აბიტურიენტების ჩარიცხვა. აღნიშნულმა სისტემამ ეროვნული უმცირესობების მრავალ წარმომადგენელს მისცა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. 2014 წელს სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე ჩაირიცხა 217, ხოლო აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე 456 აბიტურიენტი. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება ოსურენოვანი აბიტურიენტების საკითხი. გასულ წლებში „უმაღლესი განათლების შესახებ კანონში“ განხორციელებული ცვლილებებმა არაერთხელ გადაწია ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე გამოცდის ჩაბარების თარიღი. ამჟამად მოქმედი ნორმის თანახმად, 2015 წლიდან ოს აბიტურიენტებს უნდა მიეცეთ ოსურენოვანი საგამოცდო ტესტის საფუძველზე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების შესაძლებლობა.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა განათლების სფეროში კვლავ მრავალი სირთულე და გამონვევა რჩება, რაც, მათ შორის, ბილინგვური სწავლების, ბილინგვური სახელმძღვანელოებისა და ბი-

ლინგვური პედაგოგების მომზადების სირთულესაც უკავშირდება. ასევე, კვლავ მოუგვარებელია ზოგადად ეროვნული უმცირესობების სკოლებისთვის პედაგოგების მომზადების საკითხი. უკვე გამოიკვეთა ცალკეული, ძირითადად საბუნებისმეტყველო საგნების სპეციალისტების ნაკლებობა. არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, უახლოეს წლებში, ეროვნული უმცირესობების ენებზე სწავლების მქონე სკოლების დიდი ნაწილი, კადრების მწვავე დეფიციტის წინაშე დადგება.

პრობლემურია მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობებისთვის სასკოლო განათლების ფარგლებში მშობლიური ენის შესწავლის საკითხი, რასაც, დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. წლების განმავლობაში არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მცირერიცხოვანი ერების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებისა და ქალაქების სკოლებში კვლავ ვერ მოხერხდა ამ ერების მშობლიური ენის სწავლების დაწესება. აღნიშნული პრობლემის წინაშე დგას ქისტების, დაღესტნელების, ქურთების, ასურელების, ოსების და უდიების თემები. მიუხედავად იმისა, რომ ოსური ენის სწავლების ტრადიცია საქართველოში ათწლეულების განმავლობაში არსებობდა, სამწუხაროდ, მისი სწავლება 2012 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სასწავლო ბაზიდან ამოიღო.

განსაკუთრებული საჭიროებების წინაშე დგას ერთ-ერთი ყველაზე მონყვლადი ეთნიკური ჯგუფი - ბოშები. ბოშებს ყველა ტიპის პრობლემა აქვთ - დასაქმება, განათლება, სიღარიბე, ჯანდაცვა, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და სხვა. მართალია, ბოშათა ნაწილმა მიიღო პირადობის მონუმოები, თუმცა ეს არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად არსებული სიძნელეების დასაძლევად.

მიმდინარე წელს კვლავ გამომწვევად დარჩა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინფორმირების საკითხი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ყოველდღიურად მომზადებული საინფორმაციო გადაცემები ოსურ, აფხაზურ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ 10-15 წუთიანი გადაცემები ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსახლეობის სრულფასოვანი ინფორმირებისთვის საკმარისად ვერ ჩაითვლება.

15. კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უზღებრივი მდგომარეობა

კონფლიქტების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის 2014 წელი მნიშვნელოვანი ცვლილებებით არ გამოირჩეოდა. ძირითად მიღწევად უნდა ჩაითვალოს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის მიერ კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე განეული სამუშაოები. მიუხედავად ამისა, სერიოზულ გამოწვევად რჩება დასაქმება, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება და მიგრაცია.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოებასა და გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ აქტუალურია. 2014 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით, როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის (შემდგომში „სამხრეთ ოსეთი“) გამყოფ ხაზზე რუსმა მესაზღვრეებმა მიმდებარე სოფლების 387 მცხოვრები დააკავეს, ძირითადად „საზღვრის უკანონო გადაკვეთის“ ბრალდებით. თუმცა, მოლაპარაკებებისა და ეფექტური რეაგირების შედეგად, მოხერხდა დაკავებების ვადის შემცირება. თუ ზემოთ აღნიშნული ბრალდების გამო დაკავებულ პირებს წინა წლებში თვეობით უწევდათ ცხინვალის იზოლაციაში ყოფნა, ბოლო პერიოდში რამდენიმე დღეში ხდება მათი გათავისუფლება ჯარიმის სანაცვლოდ. სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ჯარიმა 100-დან 600 ლარამდეა, იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ იყო პირი დაკავებული; გალის მოსახლეობისათვის ჯარიმა 50 ლარს შეადგენს; ხოლო, აფხაზეთის გამყოფი ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებთათვის ჯარიმა 1 500 - 5 000 ლარს შორის მერყეობს. ჯარიმის გადახდა თავად დაკავებულთა ოჯახის წევრებს უწევთ და ეს მძიმე ფინანსური ტვირთია ისედაც სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისთვის.

საანგარიშო პერიოდში არაფერი შეცვლილა პატიმართა გათავისუფლების მიმართულებით. საქართველოს ციხეებში დღემდე რჩება სამხრეთ ოსეთის მკვიდრი 8 პატიმარი, ხოლო ცხინვალის ციხეში 5 ქართველი. სამწუხაროა, რომ მოლაპარაკებების დროს ვერ გამოინახა პატიმართა გათავისუფლების ისეთი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, და ამავე დროს, აღადგენდა ნდობას კონფლიქტით გახლეჩილ საზოგადოებებს შორის.

2014 წელს კონფლიქტის ზონაში დაფიქსირდა გაუჩინარების ორი შემთხვევა: პირველი, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაფილაში და მეორე ახალგორის რაიონში. გაუჩინარებულთა ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად აყენებენ გაუჩინარებულთა საკითხს, თუმცა, ოსური დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები უარყოფენ თავის კავშირს ამ შემთხვევებთან.

16. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა 2014 წელს მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ეს რესურსი არ არის საკმარისი დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პრობლემების გადასაჭრელად.

2014 წელს ძალაში შევიდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი, რომელიც ბევრად უფრო ახლოს დგას საერთაშორისო პრინციპებთან. თუმცა, მინისტრის ბრძანებით შექმნილ კომისიას, რომელსაც უნდა მოემზადებინა ცვლილებათა პაკეტი დევნილთათვის „საჭიროებებზე მორგებულ“ პოლიტიკაზე გადასასვლელად, ფაქტიურად არ უმუშავია.

გასული წლების მსგავსად, სახელმწიფოსთვის უმთავრეს გამოწვევად იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლება რჩება. 2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით განსახლების ყველაზე მასშტაბური პროცესი ქალაქ ფოთში განხორციელდა, რომელსაც როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები ჰქონდა. კვლავ პრობლემად რჩება დევნილთა განსახლების ობიექტებში და ზოგიერთ ჩასახლებაში დევნილთა საცხოვრებელი ფართების პრივატიზების საკითხი.

დევნილთა ნაწილი დღემდე სიცოცხლისთვის საშიშ გარემოში ცხოვრობს. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ მსგავს შენობებს სამინისტრო ლევან სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე ამოწმებს და ნგრევადი ობიექტის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, იქ მცხოვრები პირები კანონით დადგენილი კრიტერიუმების გარეშე იღებენ საცხოვრებელს. თუმცა, კვლავ მრავლად რჩება ყოფილი „კოლექტიური ცენტრები“, რომელთა მდგომარეობის შესწავლა ექსპერტიზის საფუძველზე არ მომხდარა და დევნილები სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში ცხოვრობენ.

17. სტიქიის შედეგად დაზარალებულთა - ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა

2014 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შეიქმნა ეკომიგრანტების საკითხების დეპარტამენტი. დეპარტამენტი უძღვება კომისიის სხდომებს, რომელსაც ევალება სტიქიის შედეგად გადაადგილებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების გადაცემა დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. კომისიის წევრია სახალხო დამცველიც. 2014 წელს ფაქტიურად დასრულდა რამდენიმე ათეული ოჯახისათვის სამინისტროს მიერ სახლების შესყიდვა. ამასთან, კომისიის მუშაობის პროცესში გამოიკვეთა იმ კრიტერიუმების დახვეწის აუცილებლობა, რომლითაც ხელმძღვანელობდა კომისია ოჯახის მონყვლადობის შესაფასებლად. მისასალმებელია, რომ სამინისტრომ სახალხო დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებულ უწყებათა ჩართულობით განახორციელა ამ კრიტერიუმების ცვლილება.

მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ საკანონმდებლო რეგულაციების შექმნაზე. 2014 წელს საქართველოს მთავრობამ არ მოინონა კანონპროექტი, რომელიც სამინისტროს ინიციატივით, სამუშაო ჯგუფის მიერ იყო მომზადებული. აუცილებელია სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის და სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულ და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფოს ვალდებულებების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა. ასეთი საკანონმდებლო რეგულაციების ერთობლიობამ უნდა შექმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სტიქიური უბედურების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირის, როგორც პირველად გადაუდებელ დახმარებას, ასევე მის გრძელვადიან განსახლებას და განსახლების ადგილზე ინტეგრაციას.

18. საბჭოთა ხელისუფლების მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ

სახალხო დამცველი ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში განიხილავს მუსლიმი მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. 2014 წელს მუსლიმი მესხების საქართველოში რეპატრიაციის პროცესთან დაკავშირებით მდგომარეობა არ შეცვლილა.

2011 წლის 1 მარტს შეიქმნა „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის უწყებათაშორისი სამთავრობო საბჭო“, რომლის ფუნქციებია რეპატრიაციასთან დაკავშირებით შესაბამისი წინადადებისა და რეკომენდაციების მომზადება, რეპატრიაციასთან დაკავშირებულ პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია და საქართველოს მთავრობის ინფორმირება რეპატრიაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ. უწყებათაშორისი საბჭოს შექმნის ფაქტი მისასალმებელია, თუმცა

აუცილებელია საბჭოს საქმიანობა იყოს აქტიური და დროულად ხდებოდეს საბჭოს მიერ განეული სამუშაოს შესახებ საზოგადოების ინფორმირება.

მართალია, 2014 წლის 12 სექტემბერს საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის სახელმწიფო სტრატეგია“, თუმცა, აღნიშნული სტრატეგიის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა ამ ეტაპზე დამტკიცებული არ არის. მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით მოხდეს.

დეპორტირებული მუსლიმი მესხებისა და მათი ოჯახებისათვის სამშობლოში ღირსეული დაბრუნების შესაძლებლობისა და ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა, რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პოლიტიკის გაუმჯობესება, ასევე რეპატრირებულთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხის გადანყვევება, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მათი საქართველოში ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობისთვის.

19. ბინადრობის ნებართვის, ვიზის გასვლის უფლებისა და მიმოსვლის თავისუფლების კუთხით გამოვლენილი ტენდენციები

საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრებას უცხოელების მიმართ, რომელთაც საქართველოს ვიზის ან ბინადრობის ნებართვის მიღება თუ საქართველოს ტერიტორიაზე დროებით შემოსვლა სურდათ. განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც, უცხოელს საქართველოსთან პირადი ან ოჯახური კავშირები გააჩნია. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი იქნა 9 შემთხვევა, როდესაც სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს უარყოფითი პასუხი ვიზის ან ბინადრობის ნებართვის მიღებაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილს ეფუძნებოდა, რომელიც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, „სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე“ მიზანშეწონილად არ მიიჩნეოდა უცხოელზე დადებითი დასკვნის გაცემას. მსგავსი ბლანკეტური მიდგომა ბუნებრივია არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო ნორმებს და შესაძლოა პირის პირადი თუ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას წარმოადგენდეს.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 4 შემთხვევა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით საქართველოს ტერიტორიის დატოვების უფლება არ მიეცათ საქართველოს მოქალაქეებს.

20. ლტოვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა

2012 წლის 18 მარტს ძალაში შევიდა ახალი კანონი „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“, რომელიც შეესაბამება „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციას. მიუხედავად აღნიშნული სიახლისა, საქართველოს კანონმდებლობა დღემდე საჭიროებს დახვეწას, რათა ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

მაგალითად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის ან თავშესაფრის მაძიებელს მხოლოდ 10 დღე აქვს სტატუსის მინიჭებაზე ან თავშესაფრის მიცემაზე უარის გასასაჩივრებლად. მაშინ, როდესაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის მიღებიდან გასაჩივრების ზოგადი ვადა ერთ თვეს შეადგენს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე შეიძლება გახდეს სამართლებრივი ბარიერი საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთათვის. კერძოდ, სასაზღვრო პოლიციას არ აქვს საზღვარზე ვიზის გაცემის უფლება. შესაბამისად, იმ ქვეყნებიდან, სადაც საქართველოს არ აქვს საკონსულო წარმომადგენლობა, მათ შორის, ერაყიდან და სირიიდან, საქართველოში ლეგალურად შემოსვლა თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით, შეუძლებელია.

გარდა საკანონმდებლო დონეზე არსებული ხარვეზებისა, დღემდე უმთავრეს პრობლემად რჩება თავშესაფრის მაძიებლებისათვის სახელმწიფო მიერ სტატუსის მინიჭების დაბალი მაჩვენებელი. სახელმწიფო ხშირად უპირატესობას ანიჭებს თავშესაფრის მაძიებლისთვის ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებას, რაც, თავისთავად, ლტოლვილის სტატუსის შემცველად ვერ ჩაითვლება.

21. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება

საანგარიშო პერიოდში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. კვლავ დაბალია მოსახლეობის ადეკვატური, დროული და ეფექტური ინფორმირების დონე. ასევე, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადანყვევებების მიღების სანყის ეტაპზე დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობა.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა საკითხებთან ერთად, სახალხო დამცველმა არაერთ რეკომენდაციაში გაამახვილა ყურადღება გადაწყვეტილების მიღების საწყის ეტაპზე მოსახლეობის ჩართვის აუცილებლობაზე, ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ადგილობრივი მოსახლეობის წუხილი. ასევე, სწორედ მოსახლეობის ჩართულობის და ინფორმირებულობის დაბალი ხარისხით იყო განპირობებული არაერთი აქცია შუახევის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობასთან დაკავშირებით, რაც გავლენას ახდენს ბუნებრივ გარემოზე.

მიმდინარე წელს განსაკუთრებით პრობლემური იყო საყდრისის მიმდებარე ტერიტორიაზე კომპანიების „RMG Gold“ და „RMG Copper“ მიერ წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების გავლენა ბუნებრივ გარემოზე და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. სახალხო დამცველის აპარატში ამჟამად შესწავლის პროცესშია ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის და სოფელ ბალიჭის, ასევე დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი დმანისისა და სოფელ ვარდისუბნის მოსახლეობის განცხადება „RMG Gold“ და „RMG Copper“ მიერ წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოების ბუნებრივ გარემოზე გავლენის კუთხით.

სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს მითითებული საკითხების შესწავლას, რაც დეტალურად აისახება სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

22. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2014 წელს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები წარმოადგენდა. წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღემ განსაკუთრებული ექსცესების გარეშე ჩაიარა. სახალხო დამცველის მიერ არ დაფიქსირებულა ჟურნალისტიკაზე ზენოლისა და მათი პროფესიული საქმიანობისათვის ხელის შეშლის შემთხვევები. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს წინ უძღოდა საარჩევნო კანონმდებლობის მორიგი რეფორმა, რომელიც მთლიანობაში პოზიტიურად უნდა შეფასდეს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ კვლავ გაგრძელდეს მისი სრულყოფის პროცესი. რამდენიმე ქალაქში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური, კონკურენტულ და თავისუფალ საარჩევნო გარემოზე უთითებს და დადებით პრეცედენტად უნდა შეფასდეს.

წინასაარჩევნო პერიოდში კანდიდატებზე ზენოლისა და აღიშნული ზენოლის შედეგად კანდიდატურების მოხსნის ფაქტების, კენჭისყრის ფარულობის პრინციპის დარღვევისა და სხვა შემთხვევების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველს არაერთი განცხადებით მიმართა საარჩევნო ბლოკმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რაც სათანადო რეაგირების მოთხოვნით გადაგზავნილი იქნა შესაბამის უწყებებში. საქართველოს სახალხო დამცველის ხელთ არსებული მონაცემებით, მარნეულის №25 საარჩევნო უბანზე ბიულეტენების ჩაყრის ფაქტზე სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 13 პირის, მათ შორის, კომისიის წევრების მიმართ; ბოლნისისა და თეთრიწყაროს რაიონებში ფიზიკური შეურაცხყოფის, ფსიქოლოგიური ზენოლისა და მუქარის ფაქტებზე მიმდინარეობს გამოძიება; ხოლო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დისციპლინური პასუხისმგებლობა - გაფრთხილება გამოიყენა ზუგდიდის საარჩევნო ოლქის 97-ე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად და არაჯეროვნად შესრულების გამო, თუმცა კომისიის წევრის ქმედებაში სავარაუდო დანაშაულის ნიშნები იკვეთებოდა. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არ დაიწყო გამოძიება კანდიდატურების მოხსნის ფაქტებთან დაკავშირებით, რადგან პროკურატურის ინფორმაციით, გამოკითხვის შედეგად არცერთმა მათგანმა არ დაადასტურა ზენოლისა და მუქარის ფაქტი.



გამოცემულია ევროკავშირის ხელშეწყობით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებებზე სრულად არის პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.